საქართველოს ფოსტა

შპს „საქართველოს ფოსტის“
საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის
ელექტრონული აუქციონის (eAuction) გზით გაყიდვის

სააუქციონო პირობები

2021

განაცხადი

შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ: 203836233) საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის (eAuction) გზით გაყიდვის თაობაზე

1. აუქციონის საგანი და ვადა

შპს „საქართველოს ფოსტა“, როგორც უნივერსალური საფოსტო ოპერატორი, წინამდებარე სააუქციონო პირობებით იწვევს დაინტერესებულ პირებს შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის გაყიდვისა და ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში **(eAuction)** მონაწილეობის მისაღებად.

1.1. წილის საწყისი ღირებულება

შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ: 203836233) საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, მე-4 სართული) 51%-იანი წილის საწყისი ღირებულება განისაზღვრება 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვად მიიჩნევა აუქციონში გამარჯვებული პირის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში.

1.2. საინვესტიციო ვალდებულება

1.2.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვიდან 24 კალენდარული თვის განმავლობაში შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

1.2.2. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ საინვესტიციო თანხის შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანა არ გამოიწვევს მის საკუთრებაში არსებული 51%-იანი წილის ზრდას.

1.2.3. წინამდებარე სააუქციონო პირობებში არსებული ყველა პირობის შესრულებამდე, აუქციონში გამარჯვებული პირის საკუთრებაში გადასულ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იან წილზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული იქნება შესაბამისი ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულებების რეგისტრაცია გაუქმდება აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შესაბამისი ვალდებულების შესრულების შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადასტურებისთანავე.

1.2.4. შპს „საქართველოს ფოსტასთან“ შეთანხმებით, აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილი იქნება შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში წინამდებარე სააუქციონო პირობების 1.2.1 პუნქტით

გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის ნაწილის ნაცვლად შეიტანოს მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, ავტო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ინვენტარი, რომელიც საჭიროა საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესისათვის. მატერიალური სახით განხორციელებული შენატანის ღირებულება (რომელიც განისაზღვრება აუდიტის შეფასებით, რომელსაც მინიჭებული აქვს აუდიტორის კვალიფიკაცია და რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორთა ვებ-გვერდზე განთავსებულ რეესტრში, როგორც სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი პირი) ჩაითვლება საინვესტიციო თანხის ნაწილში.

1.2.5. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ 1.2.4. პუნქტით გათვალისწინებული აქტივის შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანა არ გამოიწვევს მის საკუთრებაში არსებული 51%-იანი წილის ზრდას.

1.2.6. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია უნდა მოხმარდეს შპს „ჯორჯიან კარგოს“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და ასევე შპს „ჯორჯიან კარგოს“ ბიზნესის გამართვას წინამდებარე სააუქციონო პირობების 3.4 პუნქტის შესაბამისად.

1.3. **ელექტრონულ აუქციონში (eAuction) მონაწილეობის საგარანტიო თანხა (ბე)**

ელექტრონულ აუქციონში (eAuction) მონაწილეობისათვის საგარანტიო თანხა (ბე) განისაზღვრება 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის წარმოდგენაც შეიძლება განხორციელდეს საბანკო გარანტიის ან/და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

საგარანტიო თანხის (ბე) მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს წილის სარეალიზაციო სრული საფასურის (ღირებულების) გადახდის ვადას.

1.3.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე) რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“ იმ შემთხვევაში, თუ:

- აუქციონში გამარჯვებული პირი წინამდებარე სააუქციონო პირობებით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას ან წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აუქციონში გამარჯვებული პირი ვერ აკმაყოფილებს სააუქციონო პირობებს;
- აუქციონში გამარჯვებული პირი წინამდებარე სააუქციონო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების

უზრუნველსაყოფად არ წარმოადგენს 4.1 პუნქტით განსაზღვრულ უპირობო და გამოუხმობად საბანკო გარანტიას;

- აუქციონში გამარჯვებული პირი უარს იტყვის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე ან წილის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე, წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად;
- აუქციონში გამარჯვებულ პირთან შეწყდება შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება წინამდებარე სააუქციონო პირობათაგან რომელიმეს დარღვევის საფუძველზე.

1.3.2. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე) ჩაითვლება აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წილის ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორებისას.

1.3.3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის სახით წარმოდგენილი აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხა, აუქციონში გამარჯვებულ პირს უბრუნდება მის მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად წილის ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

1.4. **აუქციონის ვადა** - 15 კალენდარული დღე.

2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა

2.1. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც ელექტრონულ აუქციონში ვაჭრობის გზით დააფიქსირებს შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის ღირებულების ყველაზე მაღალ ოდენობას და ამავე დროს იკისრებს წინამდებარე სააუქციონო პირობების 1.2. პუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას და სრულად დაეთანხმება წინამდებარე სააუქციონო პირობებსა და თანდართულ დოკუმენტებს.

2.2. ვაჭრობის ბიჯი შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში მხოლოდ 1 პირი მონაწილეობს, წილის საწყის ღირებულებას დაემატება მხოლოდ ერთი ბიჯი (3 500 000 ლარს დამატებული 50 000 ლარი).

3. ფინანსური ვალდებულების შესრულების გრაფიკი

3.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის ღირებულების დაფარვა უნდა მოხდეს შემდეგი გრაფიკით:

- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში შპს

„საქართველოს ფოსტას“ გადაუხადოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუმეტეს 12 თვის ვადაში შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაუხადოს წილის ღირებულების დარჩენილი ოდენობა.

3.2. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუგვიანეს 24 თვისა შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში განახორციელოს ინვესტიცია წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად.

3.3. კაპიტალში შესატანი საინვესტიციო თანხის შეტანის გრაფიკს განსაზღვრავს შპს „საქართველოს ფოსტა“. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გრაფიკის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს აუქციონში გამარჯვებულ პირს წინამდებარე სააუქციონო პირობებით გათვალისწინებული ინვესტიციის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში განხორციელების ვალდებულებისაგან.

3.4. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ წილის შესყიდვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეიტანოს 200 000 (ორასი ათასი) ლარი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შპს „ჯორჯიან კარგოს“ ბიზნესის გამართვა და შეუფერხებელი ფუნქციონირება (მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის, ლიცენზიების/ნებართვების მოპოვების, სარეგისტრაციო და სხვა ხარჯების დაფარვის მიზნით). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული თანხა ჩაითვლება აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების 1.2.1 პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობაში.

4. საბანკო გარანტია

4.1. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების დღიდან (წინამდებარე სააუქციონო პირობების 12.3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად) 10 სამუშაო დღის ვადაში შპს „საქართველოს ფოსტას“ წარუდგინოს არანაკლებ 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედებაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინამდებარე აუქციონის პირობების 3.2 პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. საქართველოში საბანკო გარანტია უნდა გასცეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულმა საბანკო დაწესებულებამ. საზღვარგარეთ რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

4.2. საბანკო გარანტია ექვემდებარება დაუყოვნებლივ სრულ განაღდებას იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ აუქციონში გამარჯვებულ პირთან წყვეტს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას წინამდებარე სააუქციონო პირობების დარღვევის გამო.

4.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ ასევე უფლებამოსილია საბანკო გარანტიით დაიკმაყოფილოს წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად აუქციონში გამარჯვებული პირისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში განაღდებას ექვემდებარება მხოლოდ პირგასამტეხლოს თანხა.

4.4. წინამდებარე სააუქციონო პირობების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია წინამდებარე სააუქციონო პირობების 4.1. პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტიის განაღდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საბანკო გარანტიის შევსება 800 000 (რვაასი ათასი) ლარამდე ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი ვერ უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის შევსებას ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენას, შპს „საქართველოს ფოსტას“ წარმოეშვება უფლებამოსილება დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვიტოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი წინამდებარე სააუქციონო პირობების 4.1 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საბანკო გარანტიას, ის კარგავს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების უფლებას და ამავდროულად უქმდება აუქციონის შედეგები.

4.6. აუქციონში გამარჯვებულ პირს წინამდებარე სააუქციონო პირობების 4.1. პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია უკან უბრუნდება წილის ღირებულებისა და საინვესტიციო ვალდებულების სრულად შესრულების დღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის მიმართ დადგენილი სანქციები

5.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების გრაფიკის, მათ შორის, საინვესტიციო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადამოსული ფულადი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ფულადი ვალდებულება არ სრულდება ზედიზედ 3 თვის განმავლობაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია 3 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ცალმხრივად მიმართვის საფუძველზე, დაიბრუნოს საკუთრების უფლება აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემულ 51%-იანი წილზე. ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადახდილი თანხა და სხვა ხარჯები, რაც მან გაიღო წინამდებარე აუქციონის პირობების შესრულებისთვის, არ ბრუნდება და რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“.

5.3. წინამდებარე სააუქციონო პირობების 5.2 პუნქტში მითითებული გარემოებების დადგომა არ ათავისუფლებს აუქციონში გამარჯვებულ პირს

შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი 5.1 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

5.4. წინამდებარე პუნქტით დადგენილი სანქციები არ მოქმედებს წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

6. კომპანიის წილის გასხვისებასთან და დაგირავებასთან დაკავშირებული პირობები

6.1. წინამდებარე სააუქციონო პირობების შესრულებამდე, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის გასხვისების შემთხვევაში, აუცილებელია შპს „საქართველოს ფოსტის“ წინასწარი წერილობითი თანხმობა. ამასთანავე, წილის შემძენზე სრულად და უპირობოდ გადადის ის ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე აუქციონის პირობებით, მათ შორის, საბანკო გარანტი(ებ)ის წარმოდგენის ვალდებულება.

6.2. აუქციონში გამარჯვებულ პირს შპს „საქართველოს ფოსტის“ თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება დააგირავოს მის საკუთრებაში გადასული შპს „ჯორჯიან კარგოს“ წილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი მის საკუთრებაში არსებულ წილს აგირავებს იმ მიზნით, რომ მიიღოს ფინანსური სახსრები წინამდებარე სააუქციონო პირობების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზების მიზნით. ასეთ შემთხვევაში წილის შესყიდვისათვის გათვალისწინებული თანხა ფინანსური სახსრების გამცემი პირის მიერ პირდაპირ ირიცხება შპს „საქართველოს ფოსტის“ საბანკო ანგარიშზე.

7. წილის გამოსყიდვის უფლება

7.1. აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია გამოისყიდოს, ხოლო მეორე პარტნიორი ვალდებულია გაყიდოს მის საკუთრებაში დარჩენილი 49%-იანი წილი გამოსყიდვის დროს მისი საბაზრო ღირებულების შესაბამისად (მათ შორის წინამდებარე სააუქციონო პირობების 8.1 პუნქტის გათვალისწინებით), რაც დადგენილი იქნება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შერჩეული საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შერჩევა მოხდება ე.წ. „დიდი ოთხეულიდან“ (KPMG, PWC, Deloitte, EY). აუდიტორული შეფასების ხარჯებს დაფარავს აუქციონში გამარჯვებული პირი. აუქციონში გამარჯვებულ პირს 49%-იანი წილის გამოსყიდვის უფლება (გამოსყიდვად მიიჩნევა აუქციონში გამარჯვებული პირის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში) აქვს 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან 5 წლის განმავლობაში.

7.2. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ 7.1 პუნქტის შესაბამისად 49%-იანი წილის გამოსყიდვის უფლების რეალიზება არ ათავისუფლებს მას წინამდებარე სააუქციონო პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისგან და გავლენას არ ახდენს მათი შეუსრულებლობისათვის

წინამდებარე სააუქციონო პირობებით, მათ შორის, მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომაზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ 49%-იანი წილის გამოსყიდვის დროისათვის სრულად არ არის შესრულებული წინამდებარე სააუქციონო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები, 49%-იანი წილის ნასყიდობის არსებით პირობად განისაზღვრება წინამდებარე სააუქციონო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მათი დარღვევის შემთხვევაში ასევე ამოქმედდება წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-5 პუნქტი და შპს „ჯორჯიან კარგოს“ 100%-იანი წილი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღირიცხება შპს „საქართველოს ფოსტის“ სახელზე. ასეთ შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ გადახდილი თანხა და სხვა ხარჯები, რაც აუქციონში გამარჯვებულმა გაიღო წინამდებარე აუქციონის პირობების შესრულებისთვის, არ ბრუნდება და რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“.

8. დივიდენდის განაწილების წესი

8.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ღირებულების სრულად დაფარვამდე შპს „ჯორჯიან კარგოს“ დივიდენდის 100%-ს იღებს შპს „საქართველოს ფოსტა“. იმ წლიდან, როდესაც აუქციონში გამარჯვებული პირი სრულად დაფარავს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ღირებულებას, მას თავისი წილის პროპორციულად წარმოეშობა დივიდენდის მიღების უფლება.

8.2. წინამდებარე სააუქციონო პირობების 8.1. პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემდეგ შპს „ჯორჯიან კარგოს“დივიდენდი ექვემდებარება სავალდებულო ყოველწლიურ განაწილებას საანგარიშო წლის მომდევნო წელს. ამასთან, შპს „ჯორჯიან კარგოს“ პარტნიორების მიერ შესაძლოა ერთხმად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება დივიდენდის არგანაწილების თაობაზე.

9. კომპანიის მართვასთან დაკავშირებული პირობები

9.1. შპს „ჯორჯიან კარგოს“ მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტიორთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა წინამდებარე სააუქციონო პირობების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. შპს „ჯორჯიან კარგოს“ პარტნიორთა მიერ ერთხმად (ხმების 100%-ით) მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

- ძირითადი საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა, შეცვლა ან ახალი მიმართულების დამატება;
- წესდებისა და სხვა კორპორატიული დოკუმენტების ცვლილება/დამატება;
- შპს „ჯორჯიან კარგოს“ ყოველწლიური ბიუჯეტის (რაც მოიცავს წლიური მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას) და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

- შვილობილი კომპანიის დაფუძნება, კომპანიის ან შვილობილი კომპანიის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება/ლიკვიდაცია/ შერწყმა/შეძენა/რეორგანიზაცია/გაყიდვა/დაგირავება;
- კაპიტალის გაზრდა ან შემცირება;
- წილობრივი მონაწილეობის/სტრუქტურის ცვლილება;
- სესხების/კრედიტების ან სხვა ფინანსური ვალდებულებების აღება ან გაცემა;
- კომპანიის ან შვილობილი კომპანიის უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვა/იპოთეკით დატვირთვა;
- წლიური მოგების/დივიდენდის წინასწარ გატანა.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯორჯიან კარგოს“ პარტნიორ(ებ)ი არ ეთანხმებ(ა)იან კომპანიის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს, კომპანიაში იმოქმედებს წინა წელს მიღებული/დამტკიცებული ბიუჯეტი.

10. პრეტენდენტის მიმართ დადგენილი მოთხოვნები

10.1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს როგორც ფიზიკურ (საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირს), ისე საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდულ პირებს, რომელთა ქონებაშიც სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

10.2. პრეტენდენტის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის/საქმისწარმოება და ლიკვიდაციის პროცესი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. პრეტენდენტის მიმართ ან/და მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე არ უნდა არსებობდეს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა და პრეტენდენტი არ უნდა იყოს მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული.

11. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია

აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონში გამარჯვებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვამდე, შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა წარმოუდგინოს შემდეგი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

11.1. აუქციონში გამარჯვებული პირი

11.1.1. **ფიზიკური პირის შემთხვევაში:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საკონტაქტო მონაცემები;
- ინფორმაცია საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების არარსებობისა და მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ.

11.1.2. **იურიდიული პირის შემთხვევაში:**

- საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- საკონტაქტო მონაცემები;

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (უცხოური საწარმოს შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით დამოწმებული დოკუმენტაცია);
- კომპანიის წესდების დამოწმებული ასლები;
- ინფორმაცია საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების არარსებობის შესახებ და მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-11 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, ის კარგავს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების უფლებას და აუქციონის შედეგები უქმდება.

12. აუქციონში გამარჯვებულის გამოცხადება და წილზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

12.1. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-11 პუნქტით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ შპს „საქართველოს ფოსტა“ 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს და შესაბამისობას წინამდებარე სააუქციონო პირობებთან. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას აქვს ტექნიკური ხარვეზი, შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა და ამისთვის აუქციონში გამარჯვებულ პირს მისცეს გონივრული ვადა, არანაკლებ 2 სამუშაო დღისა.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-10 და მე-11 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, აუქციონის შედეგები უქმდება.

12.3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის შემდეგ, შპს „საქართველოს ფოსტა“ ვალდებულია 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს აუქციონში მონაწილე პირს გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ და მოსთხოვოს საბანკო გარანტიის წარმოდგენა წინამდებარე სააუქციონო პირობების მე-4 პუნქტის შესაბამისად.

12.4. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მხარეები დებენ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას და ხელშეკრულების დადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფენ აუქციონში გამარჯვებული პირის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა შპს „საქართველოს ფოსტასთან“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე ან მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციაზე, მას უბრუნდება საბანკო გარანტია, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება აღარ იდება ან დადებული

წილის ნასყიდობის ხელშეკრულება წყდება და შპს „საქართველოს ფოსტას“ რჩება აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე).

13. აუქციონში მონაწილე პირების თანხმობა

13.1. აუქციონში მონაწილე ყველა პირი აუქციონში მონაწილეობით ეთანხმება წინამდებარე სააუქციონო პირობებს და მასზე თანდართულ ყველა დოკუმენტს.

14. შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება

14.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ იღებს გამოუხმობ ვალდებულებას აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად, შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვიდან არაუგვიანეს 3 თვისა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედებების განხორციელება შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის ოპერირებისათვის საჭირო წარმოდგენილი აუქციონის პირობების დანართით განსაზღვრული უძრავ-მოძრავი ქონების შეტანის მიზნით (დანართში მოცემულია უძრავ-მოძრავი ქონება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (რომლის ღირებულება დადგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №000845121, №001398421 და №001803021 დასკვნების შესაბამისად), ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შპს „საქართველოს ფოსტამ“ შეიძინა ელექტრონული ტენდერის გზით და ასევე, გადაეცა დამფუძნებლის მიერ 2021 წელს, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს **7 365 919 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარს.** დანართი №1-ით განსაზღვრული ქონების ჩამონათვალი შესაძლოა დაკორექტირდეს გადაცემის დღისათვის არსებული მდგომარეობით. ამავე ვადაში შპს „საქართველოს ფოსტა“ ასევე უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში იმ მოძრავი ქონების შეტანას, რომელიც შესყიდულია ან შესყიდული იქნება საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესისათვის 2021 წლის 1 მაისიდან შპს „ჯორჯიან კარგოში“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის გადატანამდე. ამ პუნქტის შესაბამისად, შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანილი ქონების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს დანართში მითითებული უძრავ-მოძრავი ქონების ამავე პუნქტში მითითებული ჯამურ ღირებულებას 10%-ზე მეტად და არ უნდა იყოს მასზე 10%-ით ნაკლები.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ ვერ უზრუნველყოფს 14.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ხოლო აუქციონში გამარჯვებულ პირს არ აქვს წინამდებარე სააუქციონო პირობების 3.1. პუნქტით დადგენილი შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის პირველი შენატანი გადახდილი, მის მიერ პირველი შენატანის გადახდა გადავადდება იმ ვადით, რაც საჭირო იქნება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების 14.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის, მაგრამ არაუმეტეს 60 დღისა.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ წინამდებარე სააუქციონო პირობების 14.2 პუნქტის მიუხედავად ვერ შეასრულებს ვალდებულებას, აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს აუქციონის შედეგების გაუქმება და შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს უბრუნდება საბანკო გარანტია, მის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე) და სხვა თანხა, რაც მას გადახდილი აქვს შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ წინამდებარე სააუქციონო პირობების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვების შემდეგ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში. ამასთან, აუქციონში გამარჯვებულ პირს არ წარმოეშობა გაწეული ხარჯების ანაზღაურების, პირგასამტეხლოს, თუ სხვა ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალის მოთხოვნის უფლება.

14.4. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წინამდებარე სააუქციონო პირობების შესაბამისად, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ შპს „საქართველოს ფოსტა“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

14.4.1. საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესთან დაკავშირებული დასაქმებულების გადაყვანას შპს „ჯორჯიან კარგოში“;

14.4.2. შპს „ჯორჯიან კარგოსთვის“, საჭიროების შემთხვევაში, ახალი დასაქმებულებისა და მომსახურე პერსონალის აყვანას;

14.4.3. შპს „ჯორჯიან კარგოში“ საერთაშორისო გადაზიდვასთან და ლოგისტიკასთან დაკავშირებული ძირითადი საოპერაციო პროცესების გამართვას და ბიზნესის ოპერირებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებას. ამასთან, ამ პუნქტის შესაბამისად შპს „ჯორჯიან კარგოში“ ბიზნესის გადატანამდე, არსებული საერთაშორისო გადაზიდვასთან და ლოგისტიკასთან დაკავშირებული ყველა სახელშეკრულებო უფლება და ვალდებულება რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“.

14.5. შპს „საქართველოს ფოსტას“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის მიმართულებით ამჟამად დასაქმებული ჰყავს 390 თანამშრომელი. აუქციონში გამარჯვებული პირი უპირობოდ და გამოუხმობად აღიარებს და ეთანხმება, რომ შპს „საქართველოს ფოსტის“ გადაზიდვისა და ლოგისტიკის ბიზნესში დასაქმებული 390 თანამშრომელი სრულად დასაქმდება შპს „ჯორჯიან კარგოში“ შრომის ხელშეკრულებების იმავე პირობებითა და ვადით.

14.6. შპს „საქართველოს ფოსტა“, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, წინამდებარე სააუქციონო პირობების 14.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში. შპს „საქართველოს ფოსტა“ ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღნიშნული პროცესი დასრულდეს წინამდებარე სააუქციონო პირობების 14.1 და 14.2 პუნქტებით დადგენილ ვადებში. ამავდროულად, აუქციონში გამარჯვებული პირი და შპს „საქართველოს ფოსტა“ წინასწარ გამოთქვამენ თანხმობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი არ დასრულდება წინამდებარე სააუქციონო პირობების 14.1 და 14.2 პუნქტებით დადგენილ ვადებში, აღნიშნული არ განიხილება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ვალდებულების დარღვევად და შესაბამისად, არ წარმოშობს აუქციონში

გამარჯვებული პირის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას, გაწეული ხარჯების ანაზღაურების, თუ სხვა ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალის მოთხოვნის უფლებას.

14.7. წინამდებარე სააუქციონო პირობებზე თანდართული უძრავ-მოძრავი ქონება შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში გადადის არსებულ მდგომარეობაში. დაინტერესებულ პირებს აქვთ ქონების დათვალიერების უფლება. აუქციონში გამარჯვების შემდეგ პრეტენზიები ქონების მდგომარეობასთან დაკავშირებით არ მიიღება.

15. დავების გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

აუქციონში გამარჯვებულ პირსა და შპს საქართველოს ფოსტას“ შორის დადებულ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის მიმართ გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი იქნება ქართული სამართალი, ხოლო დავას განიხილავს მხოლოდ საქართველოს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

[**********]